

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## ქეთევან ბარჯაძე

საქართველოს ტურისტული პერპექტივა: ღვინის ტურიზმის  
ზრდის ტენდენციები და გამონწვევები(კახეთის მაგალითზე)

საზოგადოებრივი გეოგრაფია

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საზოგადოებრივი გეოგრაფიის  
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი : ია იაშვილი , ასოცირებული პროფესორი

თბილისი 2018



ანოტაცია

საქართველოში ყოველთვის აქტუალური იყო მეღვინეობის საკითხი. დღეს ქართულ მევენახეობა-მეღვინეობას დიდი ყურადღება ეთმობა როგორც სახელმწიფოს მხრიდან ისე კერძო კომპანიებისა, თუ ოჯახური მეღვინეობების მხრიდან. ღვინის გაყიდვასა და ღვინის ტურიზმს ჩვენი ქვეყნისთვის დიდი შემოსავლის მოტანა შეუძლია. საქართველოს არც ისე ბევრი პროდუქტი აქვს, რისი გატანაც ექსპორტზე შეუძლია და რითაც შეუძლია მოიზიდოს ტურისტები. ერთერთი პროდუქტია ქართული ღვინო ამიტომ ვფიქრობ რომ დღეს ქართული ღვინის თემა ძალიან აქტუალური, და მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისათვის.

წინამდებარე ნაშრომში განხილული იქნება ქართული ღვინო და ღვინის ტურიზმი, როგორც პროდუქტი. კვლევის მიზანი იყო გამოგვევლინა თუ რა პოტენციალი აქვს საქართველოს ღვინის კუთხით, რა პობლემები აქვს დღეს ქართულ მეღვინეობასა და ღვინის ტურიზმს, როგორ შეიძლება ამ პრობლემების მოგვარება, რა უნდა გაკეთდეს სახელმწიფოსა და კერძო სექტორის მხრიდან ღვინის პოპულარიზაციისთვის.

ნაშრომი აგებულია როგორც სტატისტიკურ, თეორიულ ისე კვლევის მონაცემებზე. ჩატარებულია კვლევები, გასაუბრებები, როგორც კერძო სექტორის, ასევე სახელმწიფო სექტორის წარმომადგენლებთან. საქართველო უკანასკნელ წლებში გარკვეულ წარმატებებს აღწევს ღვინის სფეროში, მაგრამ ხარვეზები და სამუშაო კიდევ ბევრია, რათა მოხდეს ქართული ღვინის, როგორც პროდუქტის სრულად ათვისება.

## სარჩევი

შესავალი .....	5-6
თავი 1. საქართველოს მევენახეობა-მელვინეობის მიმოხილვა	
1.1 საქართველოს მევენახეობის რაიონები .....	7
1.2 ვენახების საერთო ფართობი საქართველოში .....	7-8
1.3 ვენახების ფართობი მხარეების მიხედვით .....	8-11
1.4 ყურძნის ჯიშები მევენახეობის მხარეების მიხედვით.....	11-14
1.5 ადგილწარმოშობის დასახელებების მიკროზონები .....	14-16
1.6 ყურძნის წარმოება და გადამუშავება.....	16-17
1.7 რთველი და ყურძნის ჭარბწარმოება .....	17
1.8 ღვინის მარნები და მწარმოებლები .....	17-18
1.9 ღვინის დაყენების მეთოდები და სტილი .....	18-20
1.10 ადგილობრივი ბაზარი .....	20-21
1.11 ქართული ღვინის ექსპორტი .....	21-22
თავი 2. 2.1 ღვინის მარკეტინგი.....	23-24
2.2 როგორ მოვანონოთ და მივანოდოთ ღვინო მომხმარებელს?.....	24-26
თავი 3. ქართული ღვინის წინააღმდეგობების ანალიზი და მათი გადაჭრის გზები	
3.1 ექსპორტის პროცესში არსებული წინააღმდეგობების ჩამონათვალი.....	27-33
3.2 დავალებების და პასუხისმგებლობების განაწილება .....	34-36
3.3 ღონისძიებები და პროექტები .....	36-38

თავი 4. ღვინის ტურიზმი .....	38-48
4.2 ღვინის ტურიზმის პრობლემები და მათი გადაჭრის გზები .....	49-53
დასკვნა .....	54-55
ბიბლიოგრაფია.....	56

შესავალი

საქართველოში მევენახეობას და მეღვინეობას უხსოვარი დროიდან მისდევენ. აქ აღმოჩენილი არქეოლოგიური თუ პალეობოტანიკური კვლევების საფუძველზე დადასტურებულია, რომ საქართველოში ღვინო 8000 წლის წინ უკვე მზადდებოდა. ეს კულტურული მევენახეობის და მეღვინეობის უძველესი ნაშთებია და ამის გამო საქართველოს დამსახურებულად უწოდებენ „ღვინის სამშობლოს“.

ამ 8000 წლის განმავლობაში იყო პერიოდები, როდესაც მევენახეობა-მეღვინეობა ძლიერდებოდა და საქართველო ღვინით მეზობელ ქვეყნებსა და მთელ მცირე აზიას ამარაგებდა. იყო პერიოდები, როდესაც ვენახები იჩეხებოდა და ნადგურდებოდა. მაგრამ არ ყოფილა წყვეტა და ქართული ღვინო, შეიძლება ითქვას „8000 მოსავლის წელს“ ითვლის.<sup>1</sup>

მე-19 საუკუნიდან რუსეთის იმპერიის, შემდგომში კი საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ბაზარი ქართული ღვინის ტრადიციულ ბაზრად იქცა. ერთი მხრივ ამ საკმაოდ დიდ ბაზარზე ქართულმა ღვინომ კარგად მოიკიდა ფეხი და კარგი რეპუტაცია შეიძინა. მეორე მხრივ ამ ქვეყნებს გარეთ ქართული ღვინო ვერ გავიდა და შესაბამისად, დანარჩენმა მსოფლიომ ვერ გაიცნო.

მე-20 საუკუნის ბოლოს, საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა ძალიან დააზარალა მევენახეობა-მეღვინეობის დარგი. 2000-იანი წლებიდან მეღვინეობა მოძლიერდა და ექსპორტიც საკმაოდ სწრაფად ვითარდებოდა,

---

<sup>1</sup>საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო. 2013

თუმცა 2006 წელს , რუსეთის ბაზარზე ქართული ღვინის აკრძალვამ დიდი დარტყმა მიაყენა ქართულ მეღვინეობას.ფინანსურ ზარალთან ერთად, დაიკეტა ქართული ღვინის უმნიშვნელოვანესი ბაზარი, რომელზეც ღვინის ექსპორტის 80%-ზე მეტი მოდიოდა.

მიუხედავად უამრავი პრობლემისა, ქართული მევენახეობა მეღვინეობა განაგრძობს განვითარებას .ღვინის ექსპორტის რაოდენობაც იზრდება, საექსპორტოქვეყნების ნუსხაც და ქართული ღვინის ცნობადობაც.ქართული ღვინით უფრო და უფრო მეტი ღვინის მოყვარული ინტერესდება და დაინტერესდება რადგან:

- საქართველო მსოფლიოს ერთერთი უძველესი მეღვინეობის ქვეყანაა
- საქართველოში 500-ზე მეტი უნიკალური, ენდემური ჯიშია, რომელიც მხოლოდ საქართველოში გვხვდება
- საქართველოში დღესაც არსებობს ღვინის დაყენების ადგილობრივი, უნიკალური მეთოდები, რომლებსაც ანალოგი არ მოეპოვება არსად

# თავი 1. საქართველოს მევენახეობა - მეღვინეობის მიმოხილვა.

## 1.1 საქართველოს მევენახეობის რაიონები

საქართველო 6 მევენახეობის ზონისგან შედგება. ესენია:


- კახეთი (ქვეზონები შიდა ად გარე კახეთი)
- ქართლი (ქვეზონები ქვემო, შიდა და ზემო ქართლი)
- მესხეთი
- იმერეთი ( ქვეზონები ქვემო , შუა და ზემო იმერეთი)
- რაჭა-ლეჩხუმი (ქვეზონები რაჭა და ლეჩხუმი)
- შავი ზღვის სანაპირო ზონა (ქვეზონები: აჭარა, გურია, სამეგრელო და აფხაზეთი)

თუმცა მევენახეობის ისტორიის, ტრადიციების, ვაზის ჯიშებისა და ღვინის დაყენების მეთოდების გათვალისწინებით შეგვიძლია მევენახეობის 10 მხარე ჩამოვთვალოთ : კახეთი, ქართლი, მესხეთი, იმერეთი, რაჭა, ლეჩხუმი, გურია, სამეგრელო, აფხაზეთი და აჭარა. მევენახეობის თითოეულ მხარეში გვხვდება ადგილობრივი ვაზის ჯიშები, ხშირად კი, ღვინის დაყენების ადგილობრივი მეთოდებიც.



## 1.2 ვენახების საერთო ფართობი საქართველოში

დღეისთვის საქართველოს ვენახების ფართობი დაახლოებით<sup>2</sup> 45 ათას ჰექტარს შეადგენს, რაც გაცილებით ნაკლებია ვიდრე იყო 30 წლის წინ ( თითქმის 120 ათ. ჰა) და დაახლოებით უტოლდება XX საუკუნის 30- იანი წლების მაჩვენებელს.



დიაგრამა 1. წყარო: საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი.


## 1.3 ვენახების ფართობი მხარეების მიხედვით

კახეთი ყოველთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მევენახეობის მხარე იყო საქართველოში. განსაკუთრებით კი ბოლო წლებში, როდესაც ვენახების ფართობი შემცირდა თითქმის ყველა მხარეში. მესხეთის მხარეში ვენახების საერთო ფართობი დღეის მდგომარეობით 7 ჰა- ზე ნაკლებია.

<sup>2</sup>საქართველოს ვენახების ფართობი 2004 წელს იქნა აღწერილი და საერთო ფართობი 37,5 ათას ჰა-ს შეადგენს. თუმცა აღწერაში არ შესულა თბილისის, რუსთავის, ქუთაისის, ფოთისა და ბათუმის რეზიდენტების მფლობელობაში მყოფი ვენახები, რაც დაახლოებით 7-10 ატასი ჰექტარია.

მევენახეობის მხარეები <sup>3</sup>	1960		1970		1984		2004
კახეთი	31 062	40%	36 076	53%	61 745	70%	32 823
ქართლი	16 527	21%	15 096	22%	13 064	15%	4 177
იმერეთი	20 042	26%	10 527	15%	8 897	10%	8 584
რაჭა დალეჩხუმი	4 013	5%	1 938	3%	992	1%	1 348
გურია	1 021	1%	876	1%	503	1%	268
სამეგრელო	3 165	4%	1 869	3%	989	1%	775
აფხაზეთი	1 386	2%	1 380	2%	1 367	2%	0
აჭარა	740	1%	562	1%	343	0%	42
სულ საქართველო	77 956	100%	68 324	100%	87 900	100%	48 017

დიაგრამა 2



<sup>3</sup>ნ.მეხუბლა.გამომცემლობა მეცნიერება 1996./ 2004 წლის მონაცემები-საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი.



შევენახეობის შხარე	1000 ჰა
1. კახეთი	32,8
2. შიდა ქართლი, ქვემო ქართლი და მესხეთი	4,1
3. იმერეთი	8,6
4. რაჭა და ლეჩხუმი	1,4
5. გურია, სამეგრელო, აფხაზეთი და აჭარა	1,1
<b>სულ</b>	<b>48</b>

### კახეთი

ქართულიმელვინეობისუმთავარესირეგიონია.

საუკეთესობარისხისღვინოებისმომცემივენახებიმდებარეობსალაზნისადაივრისაუბებში, ზღვისდონიდან 400-700 მეტრსიმაღლეზე, ნემომპალა-კარბონატულ,შავმიწადაალუვიურნიდაგებზე. ესრეგიონიშეიძლებადაიყოს 4

ძირითადმხარედ:

ალაზნისმარჯვენასანაპირო,ალაზნისმარცხენასანაპირო,ქიზიყიდაგარეკახეთი.

საქართველოში დარეგისტრირებული 18 ადგილწარმოშობის ღვინოდან 14 სწორედ კახეთს ეკუთვნის.

### **ქართლი**

ქართლიმელვინეობის კიდევ ერთი გამორჩეული რეგიონია საქართველოში. იგი ცნობილია კლასიკური ევროპული ტიპის დამალაღობარის ხოვანი ცქრიალა ღვინოებით. ვენახები გაშენებულია მდინარეების - მტკვრისა და მისი შენაკადების, ლიახვისა და ქსნის ვრცელ აუზებში, ზღვის დონიდან 450-700 მეტრს იმაღლეზე. ქართლის ევროკორცს ხვარეგიონებს აბორიგენული ტიპების ძენს განსაკუთრებულ ხასიათს.

### **იმერეთი**

იმერეთი ქართული ღვინის ერთ-ერთი ყველაზე მრავალფეროვანი მხარეა, მისი 70% მთავორიანი ადგილებია. ყველგან ძალზე განსხვავებულია კლიმატური პირობები ცდანი ადა გურიშემადგენლობაც, ამიტომ ღვინოები ყველგან განსხვავებულია.

### **რაჭა - ლეჩხუმი**

სხვა ყველა რეგიონისგან გამოირჩევა ვენახების სიმცირით და იშვიათი ტიპის ყურძნით. რაჭის მხარე მოიცავს ამბროლაურის რაიონის დიდ ნაწილს, სადაც ვენახები გაშენებულია რაიონის ხეობაში და ქვემო რაჭის ყველაზე მნიშვნელოვან ხეობაში - კარის მიკროზონას. ლეჩხუმის მვენახეობის მხარის ძირითადი მიკროზონებია: ცაგერი, ორბელი, ალპანა - ტვიში, ზუბი - ოყურეში.

### **გურია - სამეგრელო**

რეგიონი მელვინეობის ალბთერთ-  
ერთ ყველაზე არქაულ კერას წარმოადგენს. პირველი ცნობები ანტიკური წყაროები და  
წინორედ კოლხეთის შესახებ ვიცით. პირველ რიგში  
, რითაც ეს რეგიონი გამოირჩევა არის ვენახის გაშენების კულტურა,  
რომელიც თითქმის მთლიანად ,XIX საუკუნემდე მალარზე იყო გაშენებული.

#### **აფხაზეთი და აჭარა .**

აფხაზეთი მელვინეობის ისტორიულ მხარე დიდ ვლევბა. ვაზი აქ 400 დან 800  
მეტრს იმაღლემდე გრძობს თავს ყველაზე კარგად,  
თავის დროზე აქ საკმაოდ მაღალ დონეზე იყო მელვინეობა, თუმცა ჭრამა და ნაცარმაძა  
ლი ანაზნომხარეს.

#### **1.4 ყურძნის ჯიშები მევენახეობის მხარეების მიხედვით**

თითოეული მევენახეობის რაიონი გამოირჩევა თავისი დამახასიათებელი ვაზის  
ჯიშებით, რომლებიც საუკეთესოდ არის შეგუებული ამ რაიონების  
მიკროკლიმატებს და მელვინეობის ტრადიციებს.

კახეთი - თეთრი ყურძნიდან ძირითადად გავრცელებულია რქაწითელი. ამ  
ჯიშისგან მზადდება ისეთი ცნობილი ღვინოები, როგორებიცაა წინანდალი,  
ნათარეული თეთრი, გურჯაანი, ვაზისუბანი და სხვა, ასევე საუკეთესოა კახური  
ტრადიციული მეთოდით დამზადებული ღვინოებისთვის. უხმოსავლიანობისა ა  
დაავადებების მიმართ გამძლეობის გამო ძლიერ გავრცელდა აღმოსავლეთ  
საქართველოში და შეავიწროვა ისეთი ხარისხიანი ჯიშები , როგორებიცაა მწვანე  
კახური, ქისი, ხიხვი და სხვა. აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში თეთრი ყურძნის  
მოსავალი ველარ აკმაყოფილებს ბაზრის მოთხოვნილებას, რქაწითელი და

განსაკუთრებით კი მწვანე, ქისი და ხიხვი საკმაოდ დეფიციტური გახდა. ბოლო წლებში კახეთში ფრანგული ჯიშები შარდონე და სოვინიონ ბლანიც გავრცელდა, თუმცა საკმაოდ მცირე რაოდენობებით.

წითელი ყურძნის ჯიშებიდან ყველაზე მეტად საფერავია გავრცელებული, რომლისგანაც მზადდება ქართული წითელი ღვინოების უმრავლესობა. განსაკუთრებით დიდი რაოდენობით გაშენდა ეს ჯიშში 90-იანი წლების ბოლოს და 2000-იანების დასაწყისში (რუსეთის ბაზრის დაკეტვამდე) და მიუხედავად მისი ძალიან მაღალი ხარისხისა, დღეს საფერავი მეტი რაოდენობით იწარმოება, ვიდრე მოთხოვნილებაა. შედარებით ნაკლებადაა გავრცელებული კაბერნე სოვინიონი, რომელიც ძირითადად თელიანის მიკროზონაშია თავმოყრილი. ბოლო წლებში ასევე საკმაოდ გავრცელდა ევროპული ჯიშები : კაბერნე სოვინიონი, მერლო, მალბეკი და სხვა.

ქართლი - ქართლშიც საკმაოდაა გავრცელებული ჯიშში რქაწითელი, თუმცა გაცილებით ნაკლებად, ვიდრე რამდენიმე ათეული წლის წინ. ხარისხიანი ღვინის წარმოებისთვის სასურველია მეტად იქნეს წარმოჩენილი ადგილობრივი ჯიშები : ჩინური, გორული მწვანე (თეთრი ჯიშები) და შავკაპიტო და თავკვერი (წითელი ჯიშები), ასევე ბუდეშური წითელი და ბუდეშური თეთრი.

მესხეთი - მიუხედავად მევენახეობის უმდიდრესი და უნიკალური წარსულისა, მესხეთში მევენახეობა დღეს ფაქტობრივად აღარ არსებობს. თუ ახალი ვენახები გაშენდა, სასურველია ადგილობრივი ჯიშები გაშენდეს, რაც ამ მხარეს ტურისტებისთვის მეტად მიმზიდველს გახდის.

იმერეთი - ტრადიციული იმერული ჯიშები ციცქა, ცოლიკოური, კრახუნა საკმაოდაა გავრცელებული ამ მხარეში, მაგრამ მათზე საკმაოდ დიდი

მოთხოვნის გამო ღვინის კომპანიები ნაკლებად ახერხებენ ამ ყურძნის შექმნასა და გადამუშავებას. არადა ამ ჯიშების გამოყენებით საკმაოდ საინტერესო საექსპორტო თეთრი ღვინის დამზადება შეიძლება. იმერული წითელი ჯიშის ოცხანური საფერე კი მცირედაა გავრცელებული იმერეთში, თუმცა მეტ ყურადღებას იმსახურებს. ასევე საკმაოდ საინტერესოა გარკვეულ მიკროზონებში გაშენებული წითელი ჯიშის ალადასტური.

რაჭა - განსაკუთრებით მაღალხარისხიანი ღვინო მიიღება წითელი ჯიშების ალექსანდროულისა და მუჭურეთულისგან (მაგ ხვანჭკარა). ამ ყურძენზე საკმაოდ დიდი მოთხოვნაა და ფასიც შესაბამისად ერთერთი ყველაზე მაღალია საქართველოში. ასევე კარგი ღვინო დგება აქაური ძელშავისგან, თუმცა მაღალხარისხიან ალექსანდროულთან შედარებით მას ნაკლებ ყურადღებას აქცევენ და ფასიც დაბალი აქვს. თეთრი ყურძნიდან გამორჩეულია წულუკიძის თეთრა ანუ რაჭული თეთრა, რომლისგანაც ნაზი არომატული ღვინო დგება, თუმცა მოსახლეობა იყენებს ოჯახური ღვინის დასამზადებლად.

ლეჩხუმი - ლეჩხუმში მოდის დღეისათვის ყველაზე ძვირადღირებული ყურძენი საქართველოში - უსახელოური. მაღალი რეპუტაციის მიუხედავად ეს წითელი ჯიშის ძალიან მცირე ფართობზეა გაშენებული. საკმაოდ დიდია მოთხოვნა ასევე ლეჩხუმურ ცოლიკოურზე, რომლისგანაც მზადდება ცნობილი ღვინო ტვიში. ასევე ძალზე პოპულარულია წითელყურძნიანი ჯიშის ოჯახური ანუ ორბელური ოჯახური.

გურია - გურიის ყველაზე საინტერესო ჯიშია ადგილობრივი წითელი ჯიშის ჩხავერი. ამ ჩხავერის ღვინო ვარდისფერი შეფერილობისაა და საკმაოდ დიდი პოტენციალი აქვს ადგილობრივ ბაზარზე. ასევეა ჯიშის ჯანი. თეთრი ყურძნიდან

გავრცელებულია ცოლიკოური, რომლისგანაც საშუალო ღირსების ღვინო ღვება და ადგილზევე მოიხმარება ოჯახის ღვინის სახით.

სამეგრელო - სამეგრელოში მევენახეობა ტითქმის მივინყებულია, თუმცა ეს მხარე მდიდარია ადგილობრივი ჯიშებით. გამორჩეულია მეგრული ოჯალეში ანუ უბრალოდ ოჯალეში, რომელიც დღეს რამდენიმე ვენახშია შემორჩენილი. ცოლიკოურისგან აქაც საშუალო ღირსების ღვინო ღვება და ადგილზევე მოიხმარება.

აფხაზეთი - აფხაზეთი ყოველთვის მდიდარი იყო ადგილობრივი ჯიშებით. გასულ საუკუნეში აქ ძალიან გავრცელდა იზაბელა. დღეს ვენახები ფაქტობრივად გაცანაგებულია, თუმცა ზუსტი ინფორმაცია აფხაზური მევენახეობის შესახებ არ გვაქვს.

აჭარა - მევენახეობა შემორჩენილია ე.წ მთიან აჭარაში, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა ცდილობს ადგილობრივი ჯიშის სანური ანუ სანურავი და ჩხავერის ვენახები შეინარჩუნოს. ცოლიკოური კარგად არ მწიფდება და მისგან ადგილობრივი მოხმარების ღვინო ღვება. მესხეთის მსგავსად, აჭარის მევენახეობასაც უფრო კულტურული დატვირთვა აქვს ვიდრე ეკონომიკური.


ვენახების ჯიშობრივი შემადგენლობა<sup>4</sup>.

ჯიშის დასახელება	ვენახების ფართობი 1953 წილის (ჰა)	ვენახების ფართობი 1961 წილის (ჰა)	ვენახების ფართობი 2004 წილის (ჰა)
რქაწითელი	14 680	24 319	19 741
საფერავი	2 163	3 411	3 704
მწვანე	1 184	1 918	249
ქისი	-	-	20
ხიხვი	52	91	5

<sup>4</sup>1953 წლის მონაცემები - ი.რცხილაძე - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. 1956 წ. / 1961 წლის მონაცემები - გ.ბერიძე. საქართველოს ღვინოები 1962 წ. / 2004 წლის მონაცემები - საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი.



კაბერნე	384	643	223
გორულიმწვანე	1 086	1 425	224
ჩინური	1 140	1 644	955
ალიგოტე	549	798	97
პინოთეარი	286	376	171
თავკვერი	215	122	29
ციცქა	5 290	6 037	2 839
ცოლიკოური	10 181	12 556	6 161
კრახუნა	85	85	36
რკო	890		
დონდლაბი	993		
ოცხანური საფერე	97	95	5
წულუკიძისთეთრა	426	482	152
ალექსანდროული (მუჯურეთულით)	617	815	219
უსახელოური	54	59	8
ოჯალემი	157	199	25
ჩხავერი	117	160	20
ალადასტური		-	46
სხვა ჯიშები	7 656	14 107	2 490



დიაგრამა 3.

### 1.5 ადგილწარმოშობის დასახელებების მიკროზონები

დადგენილია ადგილწარმოშობის 18 დასახელება.<sup>14</sup> მათგანი კახეთის მხარეში მდებარეობს, ერთი ქართლში, ერთი იმერეთში, ერთი რაჭაში და ერთიც ლეჩხუმში. ადგილწარმოშობის დასახელებების მქონე ღვინოები შედარებით მკაცრ კონტროლს ექვემდებარება და რეგლამენტირებულია ყურძნის წარმოებიდან დაწყებული ღვინის ექსპორტით დამთავრებული.

მევენახეობის მხარე	ადგილწარმოშობის დასახელება			
	წითელი ღვინოები		თეთრი ღვინოები	
კახეთი	მუკუზანი	ახაშენ	წინანდალი	კარდენახი
	ნაფარეული	ყვარელი	ნაფარეული	ტიბაანი
	თელიანი		გურჯაანი	მანავი
	ქინძმარაული	კოტეხ	ვაზისუბანი	კახეთი
ქართლი				ატენული
მესხეთი				
იმერეთი				სვირი
რაჭა		ხვანჭკარა		ტვიში
ლეჩხუმი				
გურია				
სამეგრელო				
აფხაზეთი				
აჭარა				

### 1.6 ყურძნის წარმოება და გადამუშავება

ყურძენი საქართველოში ძირითადად ღვინის საწარმოებლად გამოიყენება. ღვინო მზადდება ღვინის კომპანიებში, ასევე ოჯახებში კერძო პირების მიერ. შედარებით მცირე რაოდენობით ყურძენი ქართული ტრადიციული ტკბილეულის

ჩურჩხელის, ფელამუშ-თათრის და სხვა წარმოებას ხმარდება. ასევე მცირე რაოდენობით გამოიყენება სუფრის ყურძნად მხოლოდ შიდა, საქართველოს ბაზარზე. ქიშმიში საქართველოში ფაქტობრივად არ იწარმოება.

ოფიციალურად აღირიცხება, მხოლოდ ღვინის კომპანიებზე ჩაბარებული ყურძენი. თუმცა, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ:

საქართველოში დაახლოებით 150-200 ათასი ტონა ყურძენი იწარმოება. აქედან დაახლოებით 30-40 ათასი ტონა გადამუშავდება ღვინის კომპანიებში. დაახლოებით 15 ათასი ტონა მოიხმარება სუფრის ყურძნად. დარჩენილი 100 ათას ტონაზე მეტი, გადამუშავდება არარეგისტრირებული კერძო პირების მიერ „საოჯახო ღვინოების“ დასამზადებლად. მიღებული დაახლოებით 50-80 მლნ ლიტრი ღვინო, ასევე აღრიცხვის გარეშე მოიხმარება საქართველოში ჩამოსასხმელი სახით.

## 1.7 რთველი და ყურძნის ჭარბწარმოება

ღვინის ექსპორტი 90-იან წლებში 5 მლნ ლიტრიდან 2005 წელს 40 მლნ ლიტრამდე გაიზარდა. ზრდა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო 2000-2005 წლებში. ყურძენზე ასეთი მზარდი მოთხოვნილების გამო საგრძნობლად იზრდებოდა ყურძნის, განსაკუთრებით წითელი ყურძნის ფასი. შედეგად ამ წლებში დიდი რაოდენობით საფერავის ვენახი გაშენდა ძირითადად ღვინის კომპანიების მიერ. თეთრი ყურძნის ჯიშები შედარებით ნაკლები რაოდენობით ირგვებოდა. 2006 წელს რუსეთის ბაზრის დაკეტვის გამო ყურძენზე მოთხოვნილება შემცირდა და ბაზარზე გაჩნდა ჭარბი ყურძენი. პრობლემის გადაჭრას სახელმწიფო რთველის სუბსიდირების გზით შეეცადა. იგი 2008 წლიდან მოყოლებული გასცემს დანამატს

ყურძნის ჩამბარებლებზე. ამის პარალელურად, სახელმწიფო ახდენს საკმაო რაოდენობით ყურძნის შესყიდვას.

## 1.8 ღვინის მარნები და მწარმოებლები

საქართველოში ღვინის დამზადება სხვადასხვა ტიპის მარნებში ხდება და ამის შესაბამისად ღვინოებიც განსხვავდება სტილით და ხარისხით.

ყველაზე მეტი რაოდენობით ღვინო მზადდება ე.წ. „საოჯახო მარნებში“. თითოეული „მეღვინე“ საშუალოდ 20-1000 ლიტრამდე ღვინოს ამზადებს. მიუხედავად მცირე ზომებისა, საოჯახო მარნებში ჯამში დაახლოებით 50-820 მილიონი ლიტრი ღვინო მზადდება და ამ პროცესში ასობით ათასი ქართული ოჯახია ჩართული. ამგვარად ნაწარმოები ღვინო ოფიციალურად არ აღირიცხება.

ღვინის მწარმოებელთა მეორე ჯგუფია „ღვინის კომპანიები“ ანუ თიბიკური ან იურიდიული პირები, რომლებიც „ოფიციალურად“ ამზადებენ ღვინოებს და ყიდიან ადგილობრივ ბაზარზე ან გააქვთ ექსპორტზე.

საქართველოში 30-იოდე წლის წინ 100-ზე მეტი მარანი (ანუ ღვინის ქარხანა) ფუნქციონირებდა. ეს „ქარხნები“ იყოფოდა პირველად (ყურძნის გადამუშავება) და მეორად (ღვინის ჩამოსხმა) ქარხნებად. 90-იანი წლებიდან ამ ქარხნების უმრავლესობა შპს-დან სააქციო საზოგადოებებად გადაკეთდა, ნაწილიც დაიშალა. პარალელურად დაფუძნდა ახალი კომპანიები და აშენდა ახალი მარნებიც. კომპანიების ნაწილი მხოლოდ ექსპორტზე მუშაობს (ხშირად ექსპორტის პარალელურად ადგილობრივ ბაზარზეც არის წარმოდგენილი ბოთლის ღვინით ან ჩამოსასხმელი ღვინოებით რესტორნებსა და სპეციალიზირებულ მაღაზიებში), მცირე ნაწილი კი ადგილობრივ ბაზარზე მუშაობს ჩამოსასხმელი ღვინოებით.

2006 წლის მაისის აღწერის მიხედვით, საქართველოში ცნობილი იყო 270 ღვინის მწარმოებელი კომპანია და საწარმო. აქედან ღვინის ნაშთი აღმოჩნდა 193 ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს საერთო რაოდენობით 70 მლნ ლიტრი.

ამავე 2006 წელს ექსპერტზე ღვინო 100-მდე კომპანიამ გაიტანა. 2007-2010 წლებში ექსპორტიორთა რიცხვმა 60-70-მდე დაიკლო. ძირითადი მსხვილი მოთამაშეები არ იცვლება და მათი გაყიდვები სტაბილური და სხვა ექსპორტიორებთან შედარებით საკმაოდ დიდია. ბოლო წლების მონაცემების მიხედვით, ღვინის ექსპორტის თითქმის ნახევარი 5 მსხვილ კომპანიაზე მოდის, ხოლო მთელი ღვინის 90%-ის ექსპორტს 20-მდე კომპანია ახორციელებს.

### 1.9 ღვინის დაყენების მეთოდები და სტილი

საქართველოში წარმოებული ღვინოები საკმაოდ განსხვავდება ერთმანეთისაგან მევენახეობის რაიონისა და გამოყენებული ჯიშების მიხედვით. ამას ემატება ღვინის დაყენების სხვადასხვა მეთოდებიც. განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს ისეთი ცნობილი დასახელებები როგორცაა წინანდელი, მუკუზანი, საფერავი, ქინძმარაული, ხვანჭკარა, ასევე კახური ტრადიციული და, მასიურად გავრცელებული, ე.წ. ოჯახის ღვინო და ალაზნის ველი.

ღვინო წინანდალი. ერთ-ერთი ყველაზე ძველი და ცნობილი თეთრი მშრალი ღვინო. რქაწითელისა და მწვანის ჯიშის ყურძნისაგან (85%-15%) მზადდება. წინანდლის მიკროზონაში კახეთში.

ღვინო მუკუზანი. ერთ-ერთი ყველაზე ძველი და ცნობილი წითელი ღვინო. მუქი შეფერილობის, ძლიერი, სავსე, ხავერდოვანი ღვინო, ხშირად მუხის ტონებით. მზადდება საფერავის ჯიშის ყურძნისაგან მუკუზანის მიკროზონაში კახეთში.

ღვინო საფერავი. მზადდება კახეთის მხარეში მონეული საფერავისაგან. ღვინო ნაზია და ჯიშური არომატებით მდიდარი.

ღვინო ქინძმარაული. მეტად ორიგინალური ბუნებრივად ნახევრად ტკბილი ღვინო. მზადდება საფერავის ჯიშის ყურძნისაგან ქინძმარაულის მიკროზონაში კახეთში. სიტკბოს შესანარჩუნებლად ალკ. დუღილს აჩერებენ დაახლოებით 40გ/ლ შაქრიანობაზე. ღვინო ნაზია, სასიამოვნო, მუქი შეფერილობით და მოტკბო გემოთი. განსაკუთრებით დიდი პოპულარობით სარგებლობს ქართული ღვინის ტრადიციულ ბაზარზე (რუსეთი, უკრაინა და სხვა).

ღვინო ხვანჭკარა. მზადდება ქინძმარაულის მსგავსად, რაჭაში მდებარე ხვანჭკარის მიკროზონიდან მიღებული ალექსადროულისა და მუჭურეთულის ჯიშის ყურძნისაგან. იგი ასევე მოტკბო გემოთი და სასიამოვნო არომატით ხასიათდება. შეფერილობით ქინძმარაული შედარებით უფრო ღიაა.

კახური ტრადიციული ღვინო კახეთში მონეული რქაწითელისაგან (ან სხვა ჯიშებისაგან) მზადდება. თეთრი ყურძენი დულს და შემდეგ ვარგდება ჭაჭასთან შეხებით, რაც განაპირობებს მის განსაკუთრებულ თვისებებს. ღვინო ქარვისფერი შეფერილობისაა და გამოირჩევა ძლიერი ტანინებით და გემოთი.

ალაზნის ველი ქსპორტზე ყველაზე კარგად გაყიდვადი დასახელებაა. ნახევრად ტკბილი თეთრი და წითელი ალაზნის ველი მზადდება ღვინოში კონცენტრირებული ტკბილის დამატებით. შესაბამისად ამ ღვინის თვითღირებულება და ღირებულება შედარებით დაბალია.

ოჯახი თეთრი მშრალი ღვინოები. ძირითადად რქაწითელისა (აღმ. საქართველოში) და ცოლიკაურის (დას. საქართველოში) ჯიშის ყურძნისაგან მზადდება. აღმოსავლეთ საქართველოში ღვინოს ხშირად კახური ტრადიციული მეთოდით ამზადებენ, დასავლეთში კი - იმერული ტრადიციული მეთოდით.

დაღვინების პროცესში იშვიათად ერევიან დამხმარე მასალებით და გოგირდის ორჟანგსაც იშვიათად იყენებენ, შესაბამისად ღვინოები ადვილად იჟანგება ფერზეც და გემოზეც. ეს ღვინოები ფაქტობრივად მხოლოდ საქართველოში მოიხმარება, თუმცა საკმაოდ დიდი რაოდენობით.

### 1.10 ადგილობრივი ბაზარი

საქართველოში ღვინის მოხმარება საკმაოდ მნიშვნელოვანია და IWSR<sup>5</sup>-ის მონაცემებით 2010 წელს დაახლოებით 66 მლნ ლიტრს უტოლდება. აქედან ძირითადი ნაწილი, დაახლოებით 99% ადგილობრივი ღვინოა, იმპორტირებული ღვინო კი 1%-ზე ნაკლებია. ბოთლებში ჩამოსხმული სახით დაახლოებით 1,5 მლნ ბოთლი იყიდება. დანარჩენი ღვინო წარმოდგენილია ტიკებში, პლასტმასის ჭურჭელში ან საერთოდ ჩამოსასხმელი სახით. ღვინოს დიდ კონკურენციას უწევს ლუდი (დაახლოებით 65 მლნ ლიტრი წელიწადში), არაყი (დაახლოებით 13 მლნ ლიტრი) და ბრენდი (დაახლოებით 2 მლნ ლიტრი).


ღვინის მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე წელიწადში დაახლოებით 15-20 ლიტრს შეადგენს. ანუ საშუალოდ ქართველი ნაკლებ ღვინს სვავს, ვიდრე ევროპელი მომხმარებელი, მაგრამ უფრო მეტს, ვიდრე პოსტ საბჭოთა მომხმარებელი.

---

<sup>5</sup>The international Wine & Spirits Research. <http://www.iwsr.co.uk>

## 1.11 ქართული ღვინის ექსპორტი

ქართული ღვინის ექსპორტი 90-იანი წლების კრიზისის შემდეგ უწყვეტად იზრდება. ჩავარდნა მოხდა 2006 წელს, როდესაც რუსეთის ბაზარი ჩაიკეტა ქართული ღვინისთვის. მიუხედავად ამისა ზრდის ტენდენცია იზრდება.



დიაგრამა 4. წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენტო.

ამ დიაგრამის მიხედვით ჩანს რომ 2006 წლის შემდეგ ექსპორტი თანდათან იზრდება ქართული ღვინის ექსპორტი 2012 წელს წინა წელთან შედარებით 19.9%-ით გაიზარდა და 64.8 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა; შედეგად, მისმა წილმა ქვეყნის მთლიან ექსპორტში 2.7% შეადგინა. 2012 წელს საქართველოდან ექსპორტზე 64.8 მლნ დოლარის ღირებულების დაახლოებით 23 მილიონი ბოთლი (ბოთლები 0,75) გავიდა. ქართული ღვინის ყველაზე დიდი მომხმარებელი პოსტ საბჭოთა ქვეყნებია, ძირითადად: უკრაინა, ყაზახეთი, ბელორუსია, ჩინეთი, პოლონეთი. ეს არის ხუთი



ქვეყანა ყველაზე მაღალი ექსპორტის მაჩვენებლით. ლიდერი ქვეყანა უკრაინაა, გასულწელს აქ მთლიანი ექსპორტის 47.3% განხორციელდა. მას მოსდევს ყაზახეთი, სადაც ექსპორტირებული ღვინო, მთლიანი მაჩვენებლის 18.9% - ს შეადგენს ხოლო ბელარუსია 6.9% -ს. ახალიაზიის ქვეყნებში და ინტერესები იზრდება. მაგალითად ჩინეთში, გასულწელს მილიონზე მეტი ბოთლი გავიდა. სულ 2012 წლის მაჩვენებლებით, ქართული ღვინო 43 ქვეყანაში ექსპორტირდა.

საქართველოში წარმოებული ღვინის 80% თეთრი ღვინოა, რომელიც ადგილობრივ ბაზარზე ძალიან პოპულარულია. ექსპორტზე უფრო მეტად (დაახლოებით 70%) წითელი ღვინო გადის. ასევე მეტი მოთხოვნით სარგებლობს შაქრის შემცველი (ძირითადად ნახევრად ტკბილი) ღვინოები, რომელთა წილი ექსპორტის ნახევარზე მეტია. ქართული ღვინოებიდან ყველაზე ცნობილი და სახელებაა „ალაზნის ველი“, ჯამში წითელი და თეთრი ალაზნის ველი ქართული საექსპორტო ღვინის მეოთხედზე მეტს (25-30%) შეადგენს. მას მოზღვევს საფერავი 15%-ით, წინანდალი - 10%, ქინძმარაული - 7%, ხვანჭკარა - 6%, მუკუზანი - 5% და სხვა.

## თავი.2 ღვინის მარკეტინგი

ღვინის გაყიდვაზე უამრავი ფაქტორია ხდენს გავლენას: ხარისხი, დამზადების ადგილი, სარეკლამო კამპანია, გემო... არ შეიძლება იმის თქმა, რომ რომელიმე მათგანი აკლებს მნიშვნელოვან სახეებზე დაპირიქით.

ყველა ღვინოს თავისი მომხმარებელი ჰყავს,

თუმცა ერთი და იმავე ხარისხის პროდუქტს ერთსა და იმავე საფასურს ატეგორიაში დღეს ერ

თდროულადშესაძლოარამდენიმეათეულიკომპანიაგვთავაზობდეს.  
თუმციდველიღვინისმცოდნედასისტემატურიმოხმარებელიარაა,  
მაღაზიაშიშესვლისშემდეგუპირატესადორკომპონენტზეგამახვილებსყურადღებას.  
ფასს, როგორცუკვეაღვნიშნეთ, შესაძლოაარჰქონდესგადამწყვეტიმნიშვნელობა,  
თუისრამდენიმესხვადასხვაღვინისთვისსაერთოა. მართალია,  
გარკვეულშემთხვევებშიშესაძლოაუპირატესობამიენიჭოსძვირღვინოებს,  
იმმოსაზრებიდანგამომდინარე, რომმაღალფასთანერთადხარისხიცასეთივეიქნება.  
ესსაკმაოდგავრცელებულიმითადაზოგიერთშემთხვევაშირეალობასთანშესაძლოაა  
რციყოსახლოს. რაცშეეხებახარისხსადაგემოს, ბუნებრივია,  
პროდუქტისშეძენამდეესინფორმაციაუცნობირჩება. ამიტომისორიკომპონენტი,  
რომელიცყველაზემეტადახდენსგავლენასმოხმარებლისგადამწყვეტილებაზეშიძინ  
ოსკონკრეტულიპროდუქტი,  
არისმისმილმარსებულისარეკლამოკომპანიადაგარეგანიშეფუთვა. სარეკლამოკამპ  
ანისაკმაოდფართოცნებაადათავისთავშიუამრავინსტრუმენტსმოიცავს.  
როგორგამოიყენებენმათსაქმისმცოდნეპირარისსპეციალისტიდამარკეტოლოგი,  
ესკონკრეტულღვინოზე,  
კომპანიისფინანსურშესაძლებლობებსადასხვაუამრავგარემოებაზედამოკიდებული.  
ყველაზეაქტიურადამსაქმეშიმინსატელევიზიო

სარეკლამო რგოლებსა და ბანერებს იყენებენ. ეს, ასევე თქვათ, ტრადიციული დანაცადი ხერხია, გახადო პროდუქტი ცნობადი და პოპულარული, სანამ მომხმარებელს მისი გასინჯვის საშუალება ექნება.

ესმეთოდები ბოლო საფეხური აქლიან რთული და საპასუხისმგებლო მუშაობის პროცესში . ბოლო იმიტომ, რომ სანამ რაიმე სარეკლამო რეზულტატს მოახდენდე, აუცილებელი არამდენიმე სასიცოცხლო დამნიშვნელოვანი ასპექტის გათვალისწინება.

პირველი რამ, რაც კომერციულად წარმატებული ღვინის შესაქმნელად დასაჭირო, მისი იდენტიფიკაციაა. ინფორმაცია, რომელიც ღვინოს, მისთვის ეხება, წარმოების ადგილს და ზოგადად წარმის და დები თმხარეებს მოიცავს, ზედმინე ვნით დეტალურ შესწავლას საჭიროებს.

მისი ანალიზი ზეუნდა აიგოს გაყიდვების სტრატეგია, ეს დეტალები კი უშუალოდ აისახოს ბრენდის სახელზე, ეტიკეტზე, შეფუთვაზე და ზოგადად, მთლიან სარეკლამო კამპანიაზე.

საუბარი აისეთ რა ღაცეებზე, როგორ იცა ამის ცოდნა, თუ ვინ არის პოტენციური მიყიდველი და უბრალოდ, რას წარმოადგენს ბრენდი.

სარეკლამო კამპანიის დაწყებამდე, მთავარი ამოცანა აგანისა ზღვროს, თურას ეუბნება სახელი მომხმარებელს, რა უნდა იყოს ის მთავარი გზავნილი, რომელიც გაყიდის პროდუქტს და როგორ იღიბანი შეესაბამება იმიჯს, რომელიც ღვინისთვის იქმნება.

ამისთვის პროფესიონალი მარკეტოლოგების ადადიზანიერების მომსახურება საჭირო , რაც საკმაოდ მთამბეჭდავთანხებთან ადა კავშირებული, მაგრამ მაზზე ეკონომიის გაკეთებანამ დვილა დარღირს - ეს ისინვე სტიციაა, რომელიც შემდგომში აუცილებლად დიდ მოგებას მოიტანს.

## 2.1 როგორ მივანოლოთ და მოვანოლოთ ღვინო მომხმარებელს?

დეგუსტაციის ელემენტი მისასალმებელია და ქართული ღვინის მარკეტინგში უთუოდ წინ გადადგმული ნაბიჯია. ერთი ესაა, რომ ღვინის დაგემოვნება, მხოლოდ ღვინის ორიოდ სპეციალიზებულ მაღაზიაშია შესაძლებელი. ამ მხრივ გამორჩეულია „ღვინის სამყარო“, „ღვინის სახლი“ და „ვინოთეკა“, სადაც მყიდველებს პროფესიონალი კონსულტანტები ურჩევენ ამა თუ იმ ღვინის გასინჯვას და შეძენას. მართალია, ეს რჩევა მათ გემოვნებას ემყარება და გარკვეული დოზით სუბიექტურობასაც შეიცავს, მაგრამ ზოგადად, კლიენტი მაინც კმაყოფილი რჩება, როცა ღვინის შესახებ დეტალურ ინფორმაციას იღებს. მას სრული უფლება აქვს, არ დაეთანხმოს კონსულტანტს და არ შეიძინოს შეთავაზებული ღვინო. თუმცა, უფრო ხშირად მიწოდებული ინფორმაცია და ღვინის დაგემოვნებით მიღებული შთაბეჭდილება ერთმანეთს ემთხვევა და კლიენტი არჩევანს სწორედ რჩევიდან გამომდინარე აკეთებს.

დიდი მნიშვნელობა აქვს იმის დადგენასაც, პოტენციურად, რა ფასის ღვინის შეძენა შეუძლია ამა თუ იმ მყიდველს. თუკი შეძლებული ადამიანია და კარგი ღვინისთვის ფულიც არ ენანება, მაშინ მისთვის საშუალო და მაღალფასიანი ღვინოების შეთავაზებაც შეიძლება. პროფესიონალი კონსულტანტი შორსმჭვრეტელია და ასეთ მყიდველს დახვეწილ ღვინოს სთავაზობს, რათა სხვა დროსაც ბევრჯერ გაუჩნდეს სურვილი, ესტუმროს მაღაზიას და კვლავ შეიძინოს უკვე მონონებული, გათავისებული ღვინო.

კარგი ღვინო, ფაქტობრივად, ყველა საფასო სეგმენტში მოიძებნება. ამიტომაც თავისი საქმის კარგად მცოდნე კონსულტანტს შეუძლია, ნებისმიერი ფინანსური

შესაძლებლობის კლიენტს დაეხმაროს. ქართულ ბაზარზე, პირობითად, სამი საფასო სეგმენტია გამოკვეთილი - 20 ლარამდე, 20-დან 35 ლარამდე და 35 ლარს ზემოთ ღირებულების ღვინოები.

საშუალო და მაღალი ფასის ღვინოების შეთავაზებისას მაღაზიის წარმომადგენელს გარკვეული კრეატიული მიდგომა სჭირდება. ამ დროს ისიც უნდა გაითვალისწინოს, რომ ასეთი ღვინოების სადეგუსტაციო ნიმუშები მაღაზიას ცოტა აქვს და ყველა შემომსვლელს ვერ გაასინჯებს. ფაქტობრივად, გუმანით უნდა გამოიყენოს, იყიდის თუ არა სტუმარი ძვირადღირებულ ღვინოს, თუკი ერთ ბოთლს სადეგუსტაციოდ გაუხსნის.

ღვინის მარკეტინგში დიდი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ ღვინის მაღაზიების კარგ მუშაობას, არამედ თავად კომპანიების სწორ მარკეტინგულ პოლიტიკას. არის ისეთი უცნაური შემთხვევები, როცა ერთი და იგივე დასახელების ღვინო სხვადასხვა მაღაზიაში საგრძნობლად განსხვავებული ფასით იყიდება, რაც მყიდველს აბნევს. როგორც ჩანს, კომპანიები თავიანთი პროდუქციის გავრცელებას სხვადასხვა სადისტრიბუციო კომპანიებს ანდობენ ან რომელიმე მაღაზიასთან ექსკლუზიური მოლაპარაკებით ამა თუ იმ ღვინის ფასს აიაფებენ.

ზოგადად, ქართული ღვინის მარკეტინგი ფეხს ახლა იდგამს, რის გამოც პრობლემები მაინც ბევრია.

## თავი 3. ქართული ღვინის წინააღმდეგობების ანალიზი და მათი გადაჭრის გზები

### 3.1 ექსპორტის პროცესში არსებული წინააღმდეგობების ჩამონათვალი

კვლევაში მონაწილეობდნენ ქართული ღვინის ასოციაცია და კერძო კომპანიები. მონაწილეებმა ჩამოთვალეს ის პრობლემები, რომლებიც ხელს უშლის ექსპორტის განვითარების პროცესს. გამოიკვეთა შემდეგი პრობლემები:

- ❖ ქვეყნის დაბალი ცნობადობა
- ❖ ქართული ღვინის დაბალი ცნობადობა
- ❖ ერთიანი მარკეტინგის ფინანსების არარსებობა
- ❖ „ქართული ღვინის“ შესახებ ერთიანი შეთანხმებული ინფორმაციის არარსებობა
  - ❖ მეღვინეების გულწრფელი ერთიანობის არქონა
  - ❖ ექსპორტის (გაყიდვების) გამოცდილების ნაკლებობა
  - ❖ თანამედროვე განათლების კადრების ნაკლებობა
  - ❖ ბაზრების შესახებ ინფორმაციების ნაკლებობა
  - ❖ არსებულ ბაზარზე ერთიანი მიდგომის არარსებობა
  - ❖ ტრანსპორტირების პრობლემები (მაღალი ფასი)
  - ❖ ტრანსპორტირების გრუპაჟი (კონტროლირებადი ტემპერატურის ტრანსპორტი)
  - ❖ სახელმწიფოს მხრიდან არასაკმარისი ხელშეწყობა ექსპორტზე
  - ❖ ენების არცოდნა/კომუნიკაციის პრობლემა

❖ ნიმუშების გაგზავნის სირთულეები (ძალიან მკაცრი წესები, დოკუმენტაცია ა.შ.).

გამოიყო ზემოთ ჩამოთვლილი წინააღმდეგობების გადაჭრაში მთავარი როლის შემსრულებელი რგოლები, როგორებიცაა:

- ❖ თავად კერძო სექტორი (კომპანიები)
- ❖ ასოციაცია ქართული ღვინო
- ❖ სახელმწიფო

წინააღმდეგობების კატეგორიზაცია მოხდა აგრეთვე მათი მნიშვნელობის მხიედვით:

- ❖ აუცილებელი (წინააღმდეგობა, რომელიც ხელ უშლის ექსპორტის განვითარებას);
- ❖ სასურველი (წინააღმდეგობა, რომლის გადაჭრაც ხელს შეუწყობს ექსპორტის განვითარებას).

გამოკითხვაში მონაწილე მხარეებმა წარმოადგინეს მათი მოსაზრებები იმის შესახებ თუ რა გზით უნდა მოხდეს გარკვეული წინააღმდეგობების გადაჭრა. ეს ინფორმაცია ცხრილის სახით არის წარმოდგენილი.

წინააღმდეგობა	წინააღმდეგობის გადაჭრაში მთავარი როლის შემსრულებელი	წინააღმდეგობის გადაჭრა- აუცილებელი თუ სასურველი?	წინააღმდეგობის გადაჭრის გზა
1. ქვეყნის დაბალი ცნობადობა	სახელმწიფო	სასურველი	<ul style="list-style-type: none"> <li>• ქვეყნის პროფილის სარეკლამო ბლოკების დამზადება და საერთაშორისო ტელეარხებზე ფრონტირადგაშვება;</li> <li>• ტურიზმის განვითარება ქვეყანაში (მათ შორის ღვინის ტურიზმის);</li> <li>• საერთაშორისო ტურიზმის გამოფენებში მონაწილეობის მიღება;</li> <li>• სხვადასხვა ღონისძიებების, ფესტივალების, კონფერენციების და ა.შ. გამართვა ქვეყანაში.</li> </ul>
2. ქართული ღვინის დაბალი ცნობადობა	ასოციაცია ქართული ღვინო	სასურველი	<ul style="list-style-type: none"> <li>• ქვეყნის სარეკლამო მასალებში ქართული ღვინის უფრო პროფესიონალურად წარმოდგენა;</li> <li>• მარკეტინგული გეგმის შემუშავება დამის საფუძველზე: <ul style="list-style-type: none"> <li>○ საერთო ქოლგა-ბრენდი „ქართული ღვინო“-ს შექმნა და ბრენდირება;</li> <li>○ ბიუჯეტის განსაზღვრა და საპრომოციო კამპანიების წარმოება შერჩეულ ქვეყნებში;</li> <li>○ მნიშვნელოვანი გამოფენებისა და კონკურსების შერჩევა, ბიუჯეტის განსაზღვრა და ერთიანი ქოლგით მარკეტინგული კამპანიის წარმოება.</li> </ul> </li> </ul>



			<ul style="list-style-type: none"> <li>○ მნიშვნელოვანი გამოცემებისა და ჟურნალების განსაზღვრა დამათთან მუშაობა (ვაინრაითერების ჩამოყვანა, მასალების მიწოდება);</li> <li>○ ღვინის პოპულარიზაცია საქართველოში (სარეკლამო რგოლები, გადაცემები, კურსები და ლექციები, დეგუსტაციები ა.შ.) პოტენციური ქართული ღვინის „ელჩების“ ფორმირებისათვის.</li> </ul>	
3.	ერთიანი მარკეტინგის ფინანსების არარსებობა	ასოციაცია ქართული ღვინო	სასურველი	<ul style="list-style-type: none"> <li>• საერთო მარკეტინგული გეგმის საფუძველზე სავარაუდო ხარჯის გაანგარიშება;</li> <li>• მარკეტინგის ფონდის შექმნა, სადაც შეგროვდება საჭირო თანხები (ხარჯის ნაწილს დააფინანსებენ ღვინის კომპანიები, დარჩენილ თანხას კი ასოციაციამ იძიებს სახელმწიფოსა და</li> </ul>
4.	„ქართული ღვინის“ შესახებ ერთიანი შეთანხმებული ინფორმაციის არარსებობა	ასოციაცია ქართული ღვინო	სასურველი	ქართული ღვინის, ისტორიის, მევენახეობის მხარეების, ვაზის ჯიშების და ღვინოების შესახებ ტექსტების დაწერა. ტექსტი იქნება ზოგადი და კომპაქტური, რომელსაც გამოიყენებს ყველა
5.	მეღვინეების გულწრფელი ერთიანობის	კერძო სექტორი (კომპანიები)	აუცილებელი	სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზება (კონფერენციები, ოფიციალური თუ არაფორმალური შეხვედრები, ორგანიზებული ტურები) კომპანიებს შორის ურთიერთობების გაუმჯობესების მიზნით.

6. ექსპორტის(გაყიდვების) გამოცდილების ნაკლებობა	კერძოსექტორი (კომპანიები)	სასურველი	<ul style="list-style-type: none"> <li>• არსებული მენეჯერების გადამზადება და მათი შენარჩუნება კომპანიაში;</li> <li>• უფრო გამოცდილი და მაღალანაზღაურებადი კადრების რაოდენობა.</li> </ul>
7. თანამედროვე ანატომიის კადრების ნაკლებობა	სახელმწიფო	აუცილებელი	მევენახეობა-მელვინეობის დარგში სპეციალიზირებული ინსტიტუტის შექმნა, სადაც გაიზრდება პროფესიონალი მევენახე, მელვინე, ღვინის მარკეტოლოგი, ღვინის სამართლის მკვლევარი ა.შ. თანამედროვე ანატომიით.
8. ბაზრების შესახებ ინფორმაციების ნაკლებობა	ასოციაციური ქართული ღვინო	სასურველი	პრიორიტეტული ბაზრების შესახებ ინფორმაციების მოძიება-მოგროვება, ანალიზი და მიწოდება და ინტერესებული მხარეებისთვის.
9. არსებულ ბაზრებზე ერთიანი მიდგომის არარსებობა	ასოციაციური ქართული ღვინო	აუცილებელი	ერთიანი მიდგომის შექმნას ხელს შეუწყობს შემდეგი ფაქტორები: <ul style="list-style-type: none"> <li>• საერთო მარკეტინგული გეგმის შემუშავება;</li> <li>• ურთიერთობების გაუმჯობესება მე-5 პუნქტის თანახმად.</li> </ul>
10. ტრანსპორტირების პრობლემები (მაღალი ფასი)	კერძოსექტორი (კომპანიები); სახელმწიფო	სასურველი	კერძოსექტორსა და სახელმწიფოს შორის მოხდეს მსჯელობა აღნიშნული საკითხის თაობაზე (ასოციაცია ქართული ღვინის მონაწილეობით).
